

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №171

ქ. ბათუმი

29 მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის სულხან ლლონტის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აი პი ეს ჯორჯია“ წარმოდგენილი დირექტორის ლალი მეშველიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება SPA170006609 კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 30125100) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტია: **კარტოების მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად.**
- 1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას მიმწოდებელმა უნდა გითვალისწინოს ყველა ხარჯი, რაც საქონლის მიწოდების დროს წარმოიშობა.
- 1.4. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 839 (რვაასოცდაცხრამეტი) ლარს.**
- 1.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

- 2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
- 2.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი სპეციალისტი კობა წულაძე.

4. საქონლის მიწოდების ვადა, პირობები და ადგილი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ვაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 4.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
- 4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის ვაფორმებით ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) დადასტურებით.
- 5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) ვაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირებია:

- ა) სულხან დლონტი - აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ბ) ირინე ურუშაძე - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი.

6. ანგარიშსწორება

- 6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
- 6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

7. ფასები

- 7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 7.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 7.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 8.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.
- 8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. უფლებების გადაცემა

- 9.1. ქვეკონტრაქტორის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
- 10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 10.3. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება, ან შეუსრულებლობა, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადა

გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგრვა

15.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს



თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	შპს „აი პი ეს ჯორჯია“
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი - 406196682
ტელ: (+995) (422) 27 47 19	ტელ: +995593424524
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორ. 12, ბ. 4
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს „საქართველოს ბანკი“
	ბანკის კოდი - BAGAGE22
	ა/ნ - GE05BG000000136270200
დეპარტამენტის თავმჯდომარე	დირექტორი
 სლობან ლლონტი/ ბ. ა.	 /ლალი მეშველიძე/ ბ. ა.

2017 წლის 29 მაისის №171 ხელშეკრულების დანართი №1

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოებლის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	მოდელი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	კარტრიჯი - HP LaserJet M1132 MFP და HP LaserJet M1005 MFP პრინტერებთან თავსებადი	შავ-თეთრი კარტრიჯი N285 - 1500 ფურცლიანი რესურსი 5%-იანი დატვირთვისას	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	CE285A	25	12.5	312.5
2	კარტრიჯი - HP LaserJet 11311 პრინტერთან თავსებადი	შავ-თეთრი კარტრიჯი N12A - 1500 ფურცლიანი რესურსი 5%-იანი დატვირთვისას	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	Q2612A	3	12.5	37.5
3	კარტრიჯი - HP LaserJet 400 MFP 425 DN პრინტერთან თავსებადი	შავ-თეთრი კარტრიჯი N280 - 1500 ფურცლიანი რესურსი 5%-იანი დატვირთვისას	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	CF280A	6	18	108
4	კარტრიჯი - Canon i-SENSYS MF 3010 პრინტერთან თავსებადი	შავ-თეთრი კარტრიჯი N725 - 1500 ფურცლიანი რესურსი 5%-იანი დატვირთვისას	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	CRG725	10	12.5	125
5	კარტრიჯი - HP Laserjet Pro MFP M127fn (CZ181A) და HP Laserjet Pro MFP M225dn პრინტერთან თავსებადი	შავ-თეთრი კარტრიჯი N83A - 1500 ფურცლიანი რესურსი 5%-იანი დატვირთვისას	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	CF283A	16	12.5	200
6	კარტრიჯი - HP LaserJet CP1525n Colour პრინტერთან თავსებადი	შავი 128A Black 1300 გვერდიანი 5%-იანი დატვირთვით	ჩინეთი	Zhuhai JustCent Technology Co.,LTD	CE320A	2	28	56

სულ ჯამი 839 ლარი

აჭარის ა/რ ტურიზმის და კულტურის დეპარტამენტი

თავმჯდომარე

სულხან ლლონჯია



შპს „აი პი ეს ჯორჯია“

დირექტორი

ლალი მეშველიშვილი

ლალი მეშველიშვილი